# 112-ის დროით

№40
დეკემბერი, 2016



მოგესალმებით,

დეკემბრის თვის ნომერი, წლის ბოლო ნომერია, სადაც გაეცნობით როგორც თვის მიმდინარე საინტერესო ამბებს, ასევე 2016 წლის მნიშვნელოვან მოვლენებს.

ვიმედოვნებთ, რომ მკითხველებისთვის საინტერესო იყო ჩვენთან ერთად გატარებული ერთი წელი.

მომავალი წლიდან, კვლავ საინტერესო ამბებით დაგიბრუნდებით.

ჟურნალის რედაქცია
გილოცავთ 2017 წელს.




რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი, მარიამ ჯმუხაძე, მარიამ ნოზაძე

დიზაინი თეა კუპრაძე

**01** „112-ის კოსმოსური ხომალდი თბილისი მოლში" ........................................................................ გვ.4-5

**02** ფრანგი სამართალდამცველები შსს-ს პროექტებს გაეცნენ ........................................................................ გვ.6

**03** ისრაელის ელჩმა სამაშველო ოპერაციაში ჩართული პირები დააჯილდოვა ........................................................................ გვ.7

**04** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სტუმრად „112"-ში ........................................................................ გვ.8-9

**05** „112"-ის მობილური აპლიკაციის ტესტირების პროცესში სტუდენტები ჩაერთნენ ................................ გვ.10-11

**06** გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრების მე-7 ყოველწლიური კონფერენცია ........................................................................ გვ.12-13

**07** საერთაშორისო კურსი - „პოლიცია და საზოგადოება" ........................................................................ გვ.14

**08** 2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები ...................................... გვ.15-21



# 01 „112-ის კოსმოსური ხომალდი თბილისი მოლში"

2016 წლის 24-25 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მოზარდებში მართლწესრიგის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, „თბილისი მოლში" იმიტირებული „უსაფრთხო ქალაქი" მოაწყო.

შსს-ს „112"-ის დეპარტამენტმა „უსაფრთხო ქალაქში" საბავშვო პროექტი „კოსმოსური ხომალდი" წარმოადგინა.



ბავშვებს ოპერატორები ფუტურისტული იმიჯით დახვდნენ და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სპეციალურად მათთვის შექმნილი კომპიუტერული თამაშები შესთავაზეს. ხომალდის კაპიტანმა გამარჯვებულებს უნივერსალური საშვები გადასცა, რომელთა საშუალებითაც ისინი ნამდვილ „112"-ში მოხვდებიან და პირადად ნახავენ, როგორ ეხმარებიან ცენტრის ოპერატორები გადაუდებელ სიტუაციაში მყოფ მოქალაქეებს.








112


112

# 02 ფრანგი სამართალდამცველები შსს-ს პროექტებს გაეცნენ

2016 წლის 2 დეკემბერს, საქართველოს შს სამინისტროში ვიზიტის ფარგლებში, საფრანგეთის ეროვნული ჟანდარმერიის კრიმინალური პოლიციის დელეგაცია უწყებაში განხორციელებულ პროექტებსა და მიმდინარე რეფორმებს გაეცნო.

დელეგაციის წევრები - საფრანგეთის ეროვნული ჟანდარმერიის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, გენერალი ჟან-პიერ მიშელი, ეროვნული ჟანდარმერიის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალური ოფისის უფროსი, პოლკოვნიკი ბერნარდ ტიბუ და ეროვნული ჟანდარმერიის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კრიმინალური საქმეების საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკ-ლეიტენანტი ანტუან ბიარდი შსს-ს „112“-ის, საპატრულო პოლიციისა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტებს ეწვივნენ.

ფრანგი სტუმრები „112“-ის მიერ განხორციელებული ინოვაციური პროექტებით დაინტერესდნენ, საპატრულო პოლიციის ტექნიკა და აღჭურვილობა დაათვალიერეს და ქართველი სამართალდამცველების მუშაობას გაეცნენ.







# 03 ისრაელის ელჩმა სამაშველო ოპერაციაში ჩართული პირები დააჯილდოვა







2016 წლის 28 ნოემბერს, საქართველოში ისრაელის საელჩოში ისრაელის მოქალაქეებისთვის საგანგებო სიტუაციაში აღმოჩენილი დახმარებისადმი მიძღვნილი სამადლობელო ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიების მსვლელობის დროს მადლობის სერტიფიკატი გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს „112"-ის დეპარტამენტის დირექტორს, გიორგი ბიჭაშვილს.

ასევე, დაჯილდოვდნენ მაშველები და სამაშველო ოპერაციაში ჩართული სხვა პირები, რომლებმაც მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს თუშეთის გზაზე მომხდარი ავარიის დროს დაზარალებული გრინფილდების ოჯახს ოპერატიული დახმარება აღმოუჩინეს.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ისრაელის ელჩმა საქართველოში, ბატონმა შაბთაი ცურმა:

> *„ნება მიბოძეთ, მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, რომელმაც ძალები არ დაიშურა და 10 ოქტომბერს თუშეთის გზაზე დატრიალებული ტრაგედიის შედეგად დაზარალებული გრინფილდების ოჯახის გადასარჩენად უაღრესად ოპერატიულად იმოქმედა. ეს კიდევ ერთი მაგალითი იყო ორ ქვეყანას შორის წარმატებული თანამშრომლობისა. იმედია, მსგავს შემთხვევებთან გამკლავება აღარასდროს მოგვიწევს და ჩვენი თანამშრომლობა სხვა სფეროებში გაგრძელდება."*

# 04 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სტუმრად „112"-ში




2016 წლის 14 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს „112"-ის დეპარტამენტს, პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამის" ფარგლებში, სტუდენტები ესტუმრნენ.



ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია, თუ რა შემთხვევაში უნდა დარეკონ „112"-ზე, რომელი საგანგებო სამსახურების გამოძახებაა შესაძლებელი და როგორ უნდა ითანამშრომლონ ოპერატორთან, რათა დროულად მიიღონ გადაუდებელი დახმარება.



ვიზიტის ფარგლებში, ახალგაზრდებმა სამსახურის წარმომადგენლებისგან შეიტყვეს, თუ რა ზიანის მომტანია ცრუ ზარის განხორციელება „112"-ზე და რა სანქციებია გათვალისწინებული ნომრის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევებში.



აღნიშნული ვიზიტები შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით განხორციელდა. პროექტის მიზანია, ახალგაზრდებში სამართლებრივი ცნობიერების, მართლშეგნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა.


GPS
www.112.ge



# 05 „112“-ის მობილური აპლიკაციის ტესტირების პროცესში სტუდენტები ჩაერთნენ

შსს-ს სსიპ „112“-ის მობილური აპლიკაციის ტესტირების პროცესში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ინფორმატიკის ფაკულტეტის 100-მდე სტუდენტი ჩაერთო.

საერთაშორისო ინიციატივის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (Open Government Partnership - OGP) 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, შსს-ს სსიპ „112“-მა დაკავშირების ალტერნატიული არხი - მობილური აპლიკაცია დანერგა, რომლის მიზანს ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით „112“-თან ხელმისაწვდომობის გაზრდა და გადაუდებელი დახმარების უმოკლეს დროში მიღება წარმოადგენს.

„112“-ის მობილური აპლიკაციის მთავარ უპირატესობას მოქალაქის ადგილმდებარეობის დაუყოვნებლივ განსაზღვრა წარმოადგენს, რაც საგრძნობლად შეამცირებს საგანგებო სამსახურების შემთხვევის ადგილზე მისვლის დროს. აპლიკაცია უფასოა. მას გააჩნია IOS-ისა და Android-ის პლატფორმების მხარდაჭერა და ხელმისაწვდომია, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ და რუსულ ენებზე. აღსანიშნავია, რომ მობილური აპლიკაციით გადაუდებელი დახმარების ცენტრთან დაკავშირება ჯერ მხოლოდ მსოფლიოს 13 ქვეყანაშია დანერგილი.

2017 წლიდან საქართველოში მყოფ თითოეულ მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება, ჩამოტვირთოს და ისარგებლოს „112“-ის მობილური აპლიკაციით.











# 06 გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრების მე-7 ყოველწლიური კონფერენცია

2016 წლის 5-7 დეკემბერს, პრაღაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, გაიმართა გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრების (Critical Control Rooms 2016) მე-7 ყოველწლიური კონფერენცია, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს მასშტაბით, კრიტიკული კომუნიკაციების სფეროში მოღვაწე ექსპერტებსა და პროფესიონალებს.

აღნიშნულ ღონისძიებაზე განხილულ იქნა სხვადასხვა პრიორიტეტული საკითხი, რაც ორიენტირებულია გადაუდებელი დახმარების ცენტრების სამუშაო პროცესებთან, სამუშაო გარემოსთან, ტექნოლოგიებსა და პერსონალთან დაკავშირებული საკითხების განვითარებასა და გაუმჯობესებაზე. კერძოდ, საუბარი შეეხო ისეთ თემებს, როგორიცაა ქოლ-ცენტრებში არსებული ძირითადი გამოწვევები, ქოლ-ცენტრების განახლება და ახალ სტანდარტზე გადასვლა, მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების მნიშვნელობა, ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა და თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლება, ქოლ-ცენტრების სამუშაო პროცესის საზოგადოების მოთხოვნებთან შესაბამისობა, დრონების მნიშვნელობა გადაუდებელი შემთხვევების დროს, ადგილმდებარეობის განსაზღვრის სისტემები გადაუდებელი შემთხვევების დროს, მომავალი თაობის დისპეტჩერიზაცია, ტექნოლოგიები, ინფორმაციის დამუშავება და სოციალური მედიის როლი გადაუდებელი დახმარების დროს.



კონფერენციაზე სპიკერად მიწვეული იყო შსს სსიპ „112“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილე - ანა კეკელიძე, რომელსაც რეკომენდაცია ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციამ (EENA) გაუწია.

საქართველოს მხარემ წარადგინა პრეზენტაცია „112“-ის სამუშაო პროცედურებსა და სპეციფიკასთან დაკავშირებით, ასევე განხილულ იქნა ცენტრთან ხელმისაწვდომობის კომპონენტი და დაკავშირების არხები.



უნდა აღინიშნოს, რომ შსს სსიპ „112“-ის მიერ დანერგილ და სამომავლო პროექტებს ძალიან მაღალი შეფასება მიეცა. გამოითქვა შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი და ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობა საქართველოში არსებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით. ასევე, უახლოეს მომავალში იგეგმება ესტონეთის მხარის სამუშაო ვიზიტი საქართველოს „112“-ში.

**ანა კეკელიძე**

შსს სსიპ „112“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილე

# 07 საერთაშორისო კურსი - „პოლიცია და საზოგადოება"

2016 წლის 4-28 დეკემბერს, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაშავის ცენტრის ორგანიზებით, ისრაელში, ქ. იერუსალიმში ჩატარდა კურსი - „პოლიცია და საზოგადოება". წინასწარ გამოცხადებული კონკურსის შესაბამისად, კურსს „112"-ის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ნანა ჟუჟუნია დაესწრო.

კურსის ფარგლებში განხილული იქნა არაერთი საინტერესო საკითხი ისრაელის პოლიციის მუშაობასთან დაკავშირებით, მათ შორის: ისრაელის პოლიციის სისტემის გაცნობა, ორგანიზაციული სტრუქტურა და მუშაობის სპეციფიკა, პოლიციის და საზოგადოების თანამშრომლობის მოდელები, კადრების შერჩევა, მომზადება, სასწავლო ცენტრებთან მუშაობის სპეციფიკა, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა კრიზისულ სიტუაციებში, უსაფრთხოების კომპლექსური სისტემის გაცნობა, მოხალისეთა მომზადება-გამოყენება კრიზისული სიტუაციებისას, ანტიკრიზისული მენეჯმენტი და ა.შ.

კურსი მოიცავდა ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებსა და სასწავლო-გაცნობითი ხასიათის ვიზიტებს საგზაო პოლიციის განყოფილებაში (ქ. ბეიტ-დაგანი), ახალი ტექნოლოგიებისა და ლოჯისტიკის განყოფილებაში, თელავივის და იერუსალიმის პოლიციის განყოფილებაში; ასევე, კურსის ფარგლებში, ქ. ბეიტ შემეხში მონაწილეებმა დაათვალიერეს პოლიციის სასწავლო ცენტრი, სკოლა, კოლეჯი და აკადემია.

კურსის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები, სემინარები, ტრენინგები ისრაელის პოლიციის სისტემის მაღალი რგოლის წარმომადგენლებთან, პოლიციის სისტემაში ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებთან, ფსიქოლოგებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.

აღნიშნული კურსის ფარგლებში თითოეულმა დელეგაციამ (სულ 10 ქვეყნიდან 25 წარმომადგენელი - ბელორუსი, უკრაინა, მოლდოვა, მონღოლეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) მოამზადა პროექტის მონახაზი საკუთარი ქვეყნისთვის.

-„ქართულმა დელეგაციამ დაიწყო მუშაობა პროექტზე „კრიზისების მართვის და მოხალისეთა მომზადების კურსი", რომელსაც იმედი გვაქვს რომ აუცილებლად განვახორციელებთ მომავალში, რაშიც მაშავის პროგრამა მხარდაჭერას გვპირდება. ასევე გავაკეთე პრეზენტაცია „112"-ის საქმიანობის შესახებ, მონაწილეები გაეცნენ ჩვენს საქმიანობას და გამოხატეს მაღალი ინტერესი აღნიშნული გამოცდილების გაზიარების მიმართ." - განაცხადა **ნანა ჟუჟუნიამ**.



# 08 2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

## „112"-ის დღე

ტრადიციულად „112"-ის დღე ყოველი წლის 11 თებერვალს აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით, 2016 წლის 11 თებერვალს, შსს სსიპ „112"-ს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, მოადგილეებთან და საგანგებო სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად ესტუმრა. შს მინისტრმა „112"-ის თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და ცენტრის ეფექტურ მუშაობაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელები გადასცა.

ყოველწლიურად ამ დღის აღნიშვნის მიზანი, გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდაა. სწორედ ამიტომ, საქართველოს „112"-მა დაიწყო სოციალური კამპანია „ერთად შევამციროთ არამიზნობრივი ზარები 112-ში", რომელშიც სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები ჩაერთვნენ: სკოლის მოსწავლეები, ბაღის აღსაზრდელები, ექიმები, ლექტორები, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები და თავად „112"-ის თანამშრომლები.

აღსანიშნავია, რომ ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციამ (EENA) 2016 წლის პრიორიტეტულ მიმართულებად სტუდენტების ინფორმირება გამოაცხადა. შსს სსიპ „112"-მა „Erasmus+ საქართველოსთან" ერთად, ახალი პროექტი განახორციელა, რომლის მიზანიც უსაფრთხოების საკითხებზე იმ ქართველი სტუდენტების ინფორმირება იყო, რომლებიც სასწავლებლად ევროპაში მიემგზავრებიან. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე ქართველმა სტუდენტებმა ევროპის უნივერსიტეტებში სწავლის დაწყებამდე მიიღეს სრული ინფორმაცია, როგორც სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, ასევე ევროპაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის - „112"-ის შესახებ.

## სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციების ვიზიტები „112"-ში

2016 წელს შსს სსიპ „112"-მა სხვადასხვა ქვეყნის 15-მდე დელეგაციას უმასპინძლა. სტუმრებს შორის იყვნენ საფრანგეთის, გერმანიის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ყირგიზეთის რესპუბლიკის, ბელარუსის, ამერიკის შეერთებული შტატების, შვედეთის და სხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების ვიზიტები. „112"-ის ინიციატივით დაწყებული კამპანიის ფარგლებში, რომელიც არარეზიდენტებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდას ემსახურება, შსს-ს სსიპ „112"-ს საქართველოში აშშ-ს ელჩი იან კელი, სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს (INL) უფროსი მაიკ მაკმენი, შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მარტინა ქვიქი, საფრანგეთის ელჩი საქართველოში პასკალ მენიე და საფრანგეთის შიდა უსაფრთხოების ატაშე ბრუნო ბალდუკი ესტუმრნენ.

სტუმრებმა „112"-ში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს. ადგილზე გაეცნენ ოპერატორების მუშაობას და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

## სკოლის მოსწავლეების ვიზიტები „112"-ში

შსს სსიპ „112"-ში პროექტ „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის" ფარგლებში სკოლის მოსწავლეების ვიზიტები განხორციელდა.

„112“-ს როგორც თბილისის კერძო და საჯარო, ასევე რუსთავის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მუღანლოს სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ. 3 თვის განმავლობაში 10-მდე სკოლის ვიზიტი განხორციელდა.

სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია „112“-ის შესახებ, ასევე, მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ და რა დროს უნდა დარეკონ გადაუდებელი დახმარების ნომერზე.

პროექტის მიზანია ახალგაზრდებში სამართლებრივი ცნობიერების, მართლშეგნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა.

## „112“-ის პროექტი „კოსმოსური ხომალდი“

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ვარდების მოედანზე შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტი წარმოდგენილი იყო ინოვაციური საბავშვო პროექტით - „კოსმოსური ხომალდი“. „112“-ის მთავარი გზავნილები ბავშვებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიეწოდათ. კერძოდ, სპეციალურად მათთვის შექმნილ კომპიუტერულ თამაშებში მონაწილეობით მათ შეძლეს გამხდარიყვნენ „112-ის კოსმოსური ხომალდის“ წევრები. გამარჯვებულებს კი გადაეცათ სპეციალური საშვი, რომლითაც „112“-ში სტუმრობის უფლება მიეცათ.

ღონისძიებაზე გამარჯვებული 200-მდე ბავშვი ეტაპობრივად სტუმრობდა „112“-ს. შეხვედრა საინფორმაციო ხასიათის იყო და ბავშვებმა მოისმინეს პრეზენტაცია „112“-ის შესახებ და კითხვა-პასუხის რეჟიმში მიიღეს ინფორმაცია მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე.

## ყრუ და სმენადაქვეითებული პირების რეგისტრაცია „112“-ში

2016 წლის იანვრიდან შსს სსიპ „112“-ს ეტაპობრივად სტუმრობდნენ ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანები. „112“-ის მიზანი SMS და ვიდეო ზარის სერვისის ბაზაში საქართველოში მცხოვრები ყველა ყრუ და სმენადაქვეითებული პირის დარეგისტრირება იყო, რათა მათ საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად შეძლონ „112“-თან დაკავშირება.

შეგახსენებთ, SMS და ვიდეო ზარის სერვისი საქართველოში 2015 წელს დაინერგა. იგი საშუალებას აძლევს ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს დამოუკიდებლად დაუკავშირდნენ „112“-ს. აღნიშნული სერვისით სარგებლობისათვის საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია „112“-ის ვებგვერდზე: www.112.gov.ge

## საქართველოს „112“-ის გამარჯვება EENA-ს დაჯილდოების ცერემონიაზე

შსს სსიპ „112“ ადამიანების სიცოცხლის გადარჩენაში შეტანილი წვლილისთვის, მსოფლიოს 82 ქვეყანას შორის გამარჯვებული უკვე მესამედ გახდა.

2016 წლის, აპრილში, პრაღაში, ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ყოველწლიურ დაჯილდოების ცერემონიაზე საქართველოს „112“ ნომინაციაში -„ინოვაციური სერვისი“ SMS და ვიდეო ზარის სერვისით საუკეთესოდ აღიარეს.

## „112"-მა საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა

2016 წლის ივნისის თვეში „112"-მა საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენცია ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მხარდაჭერით ჩატარდა.

მაღალი რანგის მოწვეულმა ექსპერტებმა სხვადასხვა ქვეყნიდან, ქართველ კოლეგებს კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების წესების, ფართომასშტაბიან შემთხვევებში მოსახლეობის ინფორმირების, ქოლ-ცენტრის მოწყობისა და მომიჯნავე სამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. კონფერენცია კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საჯარო უწყებების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ.

## 2016 წლის 25 ოქტომბერს, ქ.რუსთავში „112"-ის ახალი ცენტრი გაიხსნა

ახალი ცენტრი გადაუდებელი დახმარების მსოფლიოს საუკეთესო ცენტრების გამოცდილების გათვალისწინებით შეიქმნა. რუსთავის „112" თბილისის ცენტრის პარალელურ რეჟიმში მუშაობს და მთელი საქართველოს მასშტაბით, მოქალაქეთა ზარებს 24 საათის განმავლობაში იღებს.

ახალი ცენტრის მიზანია „112"-ის გამართული, უწყვეტი ფუნქციონირება და თბილისის ცენტრის განტვირთვა და დაზღვევა.

## „112"-ის საინფორმაციო კამპანია ტურისტულად აქტიურ რეგიონებში

2016 წელს „112"-მა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად დაიწყო საინფორმაციო კამპანია, რომელიც გულისხმობს საქართველოს მასშტაბით ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში „112"-ის საინფორმაციო ფლაერების განთავსებას. ინფორმაცია „112"-ის შესახებ ასევე ტურისტულ პორტალებსა და ტურისტული კომპანიების ვებგვერდებზეც განთავსდა.

## „112-ის გმირი"

2016 წლის ივნისში, შსს სსიპ „112"-მა ახალ პორექტს ჩაუყარა საფუძველი: „112-ის გმირი". წელს ამ სტატუსით 4 ბავშვი გამოვლინდა, რომლებმაც მიზნობრივად გამოიყენეს გადაუდებელი დახმარების ნომერი და სწორად მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ზოგმა მეგობარი, ზოგმა კი ოჯახის წევრი გადაარჩინა.

„112" გმირის წოდებით ყოველი წლის 1 ივნისს დააჯილდოვებს ბავშვებს.

## „112"-მა სამი ინოვაციური პროექტი დანერგა

2016 წლის სექტემბერში, შსს სსიპ „112"-მა თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამი ახალი პროექტის: მობილური აპლიკაცია, „eCall Georgia" და „პროგრამა საპატრულო ეკიპაჟებისთვის" პრეზენტაცია გამართა.

მობილური აპლიკაცია მსოფლიოს 13 ქვეყანაშია დანერგილი. აპლიკაცია უფასოა და სამ ენაზეა ხელმისაწვდომი.

„eCall Georgia", ავტოსაგზაო შემთხვევისას, სატრანსპორტო საშუალებაში წინასწარ ჩამონტაჟებული სისტემის მეშვეობით, გადაუდებელი დახმარების ნომერზე ავტომატური განგაშის სიგნალის გაგზავნას გულისხმობს, ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით.

„112"-ის მესამე, ახალი პროექტი, ინფორმაციის ვიზუალური მიმოცვლის მიზნით, სპეციალურად საპატრულო ეკიპაჟებისთვის შეიქმნა. საპატრულო ეკიპაჟებში განთავსებულ პორტატულ კომპიუტერებში ჩაწერილი პროგრამა „112"-ში გადაუდებელი შემთხვევის შესახებ შესული შეტყობინების შესახებ ეკიპაჟის დეტალურ და მყისიერ ინფორმირებას უზრუნველყოფს.



# გილოცავთ შობა-ახალ წელს!






www.112.gov.ge